საფეხბურთო ერთობა "მესხეთი"

ასაკი: 6-9 წელი

ბედნიერი, გაბედული და თავდაჯერებული ბავშვის განვითარება ფეხბურთის საშუალებით.

ძვირფასო მშობლებო,

6-9 ასაკში ჩვენი მთავარი მიზანი არ არის ფეხბურთელების გაზრდა.

არამედ ბედნიერი, თავდაჯერებული, გაბედული და აქტიური ბავშვების აღზრდა ფეხბურთის საშუალებით.

1. ამ ასაკში გამარჯვება არ იზომება ქულებით, გოლებითა და ჩემპიონობით.

✓ **ჩვენთვის გამარჯვებაა, როდესაც ბავშვი:**

- სიხარულით მოდის ვარჯიშზე,
- ლაღად თამაშობს ფეხბურთს,
- იღიმება თამაშისა და ვარჯიშის დროს,
- მეგობრობს თანაგუნდელებთან,
- გაბედულად ცდილობს ახალ მოქმედებებს,
- არ ეშინია შეცდომის,
- ვითრდება ყოველდღიურად.

✓ **ჩვენი ყურადღება მიმართულია:**

- რამდენად აქტიურად არის ბავშვი ჩართული თამაშში,
- რამდენჯერ შეეხო ბურთს,
- რამდენჯერ სცადა მოწინააღმდეგის მოტყუება,
- რამდენჯერ მოიპოვა ბურთი მოწინააღმდეგისგან,
- რამდენად ავლენს ცნობისმოყვარეობასა და გამბედაობას.

✓ თუ ბავშვი თამაშობს, იღიმება და სიხარულით ბრუნდება შემდეგ ვარჯიშზე ნიშნავს რომ ჩვენ სწორ გზაზე ვართ.

2. მწვრთნელი ასწავლის, მშობელი ამხნევებს

➢ მაყურებლის სივრციდან ან მოედნის გვერდიდან მშობელი არ მიუთითებს, მხოლოდ ქომაგობს.

„გაიქეცი - მოატყუე - გადააწოდე - გაიტანე“ –ეს მწვრთნელის პასუხისმგებლობაა.

✓ ბავშვის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მან თავად ისწავლოს თამაშის დანახვა, გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის აღება საკუთარ მოქმედებებზე.

➢ **მშობლის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვებია:**

- „ყოჩაღ!“
- „კარგად ითამაშე!“
- „სცადე კიდევ!“
- „მე შენით ვამაყობ!“

- ✓ თუ ბავშვი თამაშის დროს მაყურებლებში გაიხედავს, მან იქ უნდა დაინახოს მხარდაჭერა და არა მითითება.
- ✓ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი ენდობოდეს საკუთარ აზროვნებას, სწავლობდეს საკუთარი გამოცდილებიდან და არ ეშინოდეს შეცდომის დაშვების.
- ✓ შეცდომა განვითარების ბუნებრივი ნაწილია.
- ✓ ჩვენი მიზანია ბავშვს ვასწავლოთ დამოუკიდებლად ფიქრი, ხოლო მშობლის მთავარი როლია შექმნას უსაფრთხო, დადებითი და გამამხნევებელი გარემო.

3. ყველა თამაშობს

- ✓ ამ ასაკში ყველა ბავშვი იღებს სათამაშო დროს.

- ჩვენ არ ვქმნით „ძირითად“ და „სათადარიგო“ მოთამაშეებს.
- ყველა ბავშვი იმსახურებს გამოცდილებას და განვითარების თანაბარ შესაძლებლობას.
- დღეს შესაძლოა ვინმემ რამდენიმე წუთით ნაკლები ითამაშოს, ხვალ კი – მეტი.

- ✓ მთავარია ის, რომ თითოეულმა ბავშვმა მიიღოს თამაშით სიამოვნება, გამოცდილება და განვითარების შესაძლებლობა.

- ✓ ჩვენი მთავარი მიზანი ფეხბურთით არის:

- ვასწავლოთ ურთიერთობა და გუნდურობა,
- დავეხმაროთ მეგობრების შეძენაში,
- შევაყვაროთ მოძრაობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი,
- გავზარდოთ თავდაჯერებული, გაბედული და პასუხისმგებლიანი ბავშვი ,
- დავეხმაროთ მას საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენასა და განვითარებაში, როგორც მოედანზე, ისე მოედნის მიღმა,

„ჯერ ბედნიერი ბავშვი — შემდეგ ფეხბურთელი.“

- ✓ ჩვენ ერთი გუნდი ვართ - თქვენ, ჩვენ და თქვენი შვილი.
  მადლობა ნდობისთვის.

- გავეცანი და ვიზიარებ "მესხეთის" 6-9 წლის ასაკში სამწვრთნელო მიდგომის არსს

მშობლის სახელი გვარი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____